ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, 27 იანვარი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:01 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი-საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.
ნარგულ ბარამიძე - ს.ს.პ სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის პედაგოგი და საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 იანვარი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

27 იანვარი, 2023 წელი

№	სახელი,გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	[illegible]	61008003450	555 42 17 47	[illegible]	
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
განყოფილების უფროსი: მამია გვარიშვილი
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

მომხსენებელმა განმარატა, რომ მესამე საკითხის მოხსენებლად მამია გვარიშვილის ნაცვლად იქნებოდა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგი მომხსენებლის შენიშვნის გათვალისწინებით.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკომუნიკაციო ნაგებობის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95230263-95, 26.01.2023 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადასცეს საჯარო რეესტრში სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

- ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 2593,77 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ცანაურას არხი; ს/კ 21.00.003);
- ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 6351,07 მეტრი საკომუნიკაციო ნაგებობა (ხარაულას არხი; ს/კ 21.00.004).

რადგან, შემდგომ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-მა განახორციელოს დასახელებული ქონების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230275, 27.01.2023 წელი).

2. მოისმინეს: ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების

ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95230254-95, 25.01.2023 წელი) და განმარტა, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის გამართულად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია დროებით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცემოდა ა(ა)იპ - ქედის ისტორიულ მუზეუმს, რაზედაც ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე, ზაზა ხალვაშის მემკვიდრე (მეუღლე) - ნინო პაპუნიძე წერილობით აცხადებდა თანხმობას. აქედან გამომდინარე, არსებული ქონება ა(ა)იპ - ქედის ისტორიულ მუზეუმს სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცემა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი თანამშრომელი იყო დასაქმებული ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმში.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს წარმოდგენილი სახლმუზეუმი მუდმივმოქმედი იყო თუ არა.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე მუზეუმის მოვლა-პატრონობას მხოლოდ ერთი თანამშრომელი ახორციელებდა, თუმცა აღნიშნა რომ სამომავლოდ ორი შტატის დამატება იგეგმებოდა, მეორე კითხვაზე განმარტა, რომ ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმი მუდმივმოქმედი იყო. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ეწვიოს მუზეუმს და დაათვალიეროს არსებული ექსპონატები, ასევე მიიღოს ინფორმაცია ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230274, 27.01.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ეკატერინე ქაჯაია საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95230261-95, 26.01.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენდა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებებზე დაფინანსების ნორმები განსაზღვრის შესახებ რა კრიტერიუმით მოხდა თანხების შემდეგნაირად გადანაწილება, კერძოდ, სპორტსმენები და მწვრთნელები – 30 ლარი ერთ კაცზე, ხოლო მსაჯები, ტექნიკური პერსონალი და სამედიცინო პერსონალი – 25 ლარი ერთ კაცზე. რატომ არ იყო განისაზღვრული ერთნაირად თანხა.

მომხსენებელმა ეკა ქაჯაიამ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №2 განკარგულების სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით იქნა მოყვანილი. აქვე განმარტა, რომ სპორტსმენს განსხვავებული კვება სჭირდება და რამაც თანხის სხვაობა გამოიწვია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230273, 27.01.2023 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი №12-95230264-95, 26.01.2023 წელი) შესაფასებლად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს ძველი სახლის ახლით ჩანაცვლების პროგრამის თაობაზე, კერძოდ 2022 წელს ვერ მოხდა ორი სახლის მშენებლობის დასრულება და ასეთ დროს როგორ ხდება პროექტის დასრულება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი გარდამავალი პროექტი იყო და წელს მოხდებოდა მისი დასრულება.

ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის იქნებოდა დასრულებული დანდალოს სახლის მშენებლობა.

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დანდალოს სახლის მშენებლობა 2023 წლის მაისის თვეში დასრულდება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ რეზო თურმანიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა პროცედურების გატარება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერების ჩაშლის შემთხვევაში.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ტენდერებში გამარჯვებული ორგანიზაციების თაობაზე, რომლებიც ვერ ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს, თუ შესაძლებელი იყო მუნიციპალიტეტმა ჩამოართვას უფლებამოსილებები.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენი ერთეული ქონების დამატება იგეგმება საპრივატიზაციო ნუსხაში და ასევე დაინტერესდა, ქედის მუზეუმის რესტავრაციის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერიას აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომელიც დღემდე არ შესრულებულა და რა იგეგმებოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სულ შეწყვეტილი იყო გასული წლისათვის ხუთი ხელშეკრულება და ის ორგანიზაციები შავ სიაში არიან შესული. აქვე განმარტა რომ მიმიდნარე წლის პროექტებზე 70% შესყიდვების ტენდერები უკვე გამოცხადებული იყო, რაც გაამარტივებდა ტენდერების შესრულებას წლის

ბოლომდე, ხოლო რაც შეეხება მომწოდებლებს, რომლებიც ვერ ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი ხელშეკრულების შესაბამისად ხორციელდება, იქ გათვალისწინებულია როგორც ჯარიმა, გადავადება და ყველა სამართლებრივი პროცედურა.

ქედის მუზეუმის რესტავრაციასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ახალად უნდა მოხდეს ტენდერის გამოცხადება, რათა აღნიშნული შენობის რესტავრაცია იქნას დასრულებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
(განკარგულება №გ-95.95230272, 27.01.2023 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა ეკა ქაჯაიამ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი №12-95230253-95, 25.01.2023 წელი) შესაფასებლად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს ძეგლთა დაცვის მხრივ რა ღონისძიებები იქნა გატარებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელს.

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადგილზე მისვლით შესწავლილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ყველა ძეგლი, ასევე გაკეთდა კავიანის ციხესთან მისასვლელი გზა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
(განკარგულება №გ-95.95230271, 27.01.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სსპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ საკრებულოს მუშაობას და სხდომის მიმდინარე პროცესებს. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სოფელ ძენწმანში არსებული პრობლემატური საკითხები, კერძოდ: გარე განათების, საავტომობილო გზაზე დამცავი ბაგირების მოწყობისა და სასმელი წყლის პრობლემის თაობაზე. ასევე, თხოვნით მიმართეს საკრებულოს გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან სოფელ ძენწმანში არსბული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მეჩეთის რესტავრაციის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა ძენწმანის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგს ნარგულ ბარამიძეს აქტიურობისათვის და განმარტა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პრობლემები მათთვის ცნობილი იყო, ზოგიერთი მათგანი უკვე განხორციელების ეტაპზეა, ხოლო წყლის პრობლემის თაობაზე უკვე გამოცხადებული იყო ტენდერი. დანარჩენი საკითხებზე შესასრულებელი სამუშაოები უახლოეს მომავალში მოხდებოდა. აქვე აღნიშნა, რომ ახალგაზრდების ჩართულობა და მოსაზრებების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტისათვის, რაც ხელსშეუწყობს სამომავლოდ სოფლებში ბევრი პრობლემების დროულად მოგვარებას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ძენწმანის მეჩეთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მასზე ნებისმიერი ჩარევა უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებებთან. ამ ეტაპისთვის აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაგეგმილი აქვს მეჩეთის რეაბილიტაცია, შემენილია პროექტი და უახლოეს პერიოდში შესასრულებელ სამუშაოებზე შესყიდვის პროცედურები განხორციელდება.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და ხელმძღვანელს მოსაზრებების წარდგენისათვის და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2022 წელს შემოვიდა ინიციატივით ადგილობრივი ახალგაზრდების თვითმმართველობის პროცესში მეტი ჩართულობის თაობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**